



პროტოკოლი N 7
ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლით გათვალისწინებული ნორმების დაცვა [ინფექციის კონტროლი ტუბერკულოზის სამსახურში (სამედიცინო დაწესებულების გარემოს კონტროლი) და ტუბერკულოზის დაწესებულებაში პაციენტების გადანაწილება (ინფექციის ადმინისტრაციული კონტროლი)]

მიზანი:

- ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელების პრევენცია;
- ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პაციენტების მიერ მომსახურე სამედიცინო პერსონალის ინფიცირების/დაავადების რისკის შემცირება;
- სხვა პაციენტების და პაციენტის ოჯახის წევრების ტუბერკულოზით ინფიცირების/დაავადების პრევენცია.

სამიზნე ჯგუფი: ყველა პაციენტი და სამედიცინო პერსონალი, ასევე პაციენტის ოჯახის წევრები, რომლებსაც შეხება აქვთ ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან.

ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი: პროტოკოლი განკუთვნილია ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის.

სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები: პროტოკოლის გამოყენება აუცილებელია ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას გადიან ტუბერკულოზით დაავადებული და/ან ტუბერკულოზზე საექვო პაციენტები.

ზოგადი რეკომენდაციები

- ყველა დაწესებულებაში, სადაც მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას გადიან ტუბერკულოზით დაავადებული და/ან ტუბერკულოზზე საექვო პაციენტები, ადმინისტრაციის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფექციის კონტროლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული, გარემოს და ინდივიდუალური ნორმების დაცვა;
- ექთანი, რომელსაც შეხება აქვს ტუბერკულოზით დაავადებულ ან ტუბერკულოზზე საექვო პაციენტთან სწორად უნდა იყენებდეს ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებს (იხ. პროტოკოლი „ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება“);
- ექთანი უნდა ფლობდეს და იცავდეს სამედიცინო დაწესებულებაში დამონტაჟებული ხელოვნური ვენტილაციის აპარატურის და ულტრაიისფერი ნათურის გამოყენების წესებს;
- სამედიცინო დაწესებულებაში და პაციენტის ბინაში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ბუნებრივი ვენტილაცია, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება ჰაერის ნაკადის სწორი მიმართულებით (მაღალი რისკის არეებიდან დაბალი რისკის არეებისკენ) მოძრაობა;

პროცედურის თანმიმდევრობა

- ტუბერკულოზით დაავადებულ ან ტუბერკულოზზე საეჭვო პაციენტთან კონტაქტისას აუცილებლად გამოიყენეთ რესპირატორი, საჭიროების შემთხვევაში კი ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები (იხ. პროტოკოლი „ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება“);
- ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულ ყველა პაციენტს, ასევე ტუბერკულოზზე საეჭვო პაციენტებს, რომლებსაც ახველებთ, მიეცით ქირურგიული ნიღაბი და აუხსენით მისი გამოყენების აუცილებლობა;
- ხველის მქონე პაციენტს მიაწოდეთ ინფორმაცია ხველის ჰიგიენის შესახებ (იხ. პროტოკოლი „ხველის ჰიგიენა“) და უზრუნველყავით მისი ურიგო ვიზიტი ექიმთან;
- ნებისმიერ სეზონში (ზამთარში შედარებით ხანმოკლე პერიოდით) დღეში მინიმუმ ორჯერ გამოაღეთ ფანჯარა და გაანიავეთ ოთახი, რომელშიც იმყოფება პაციენტი (განსაკუთრებით პაციენტის ვიზიტის შემდეგ, ან თუ შესაძლებელია ვიზიტის დროსაც). დარწმუნდით, რომ ჰაერი ოთახიდან ღია სივრცისკენ მოძრაობს და არა პირიქით. გაითვალისწინეთ, რომ განიავებისას ჰაერის ნაკადი დერეფნისა და სხვა პაციენტების მოსაცდელისაკენ არ უნდა გადაადგილდებოდეს. ბუნებრივი ვენტილაციის უზრუნველყოფის ყველა ეს წესი ასწავლეთ პაციენტს და დაარწმუნეთ ის, რომ აუცილებლად დაიცვას ისინი სახლის პირობებში;
- თუ ხმარობთ მექანიკურ ვენტილატორს, ის ოთახში დადგით ისე, რომ ღია ფანჯრიდან ან კარიდან სუფთა ჰაერი შეიტანოს შიგნით და ტუბერკულოზის გამომწვევით დაბინძურებული -გაიტანოს გარეთ;
- ინსტრუქციის მიხედვით აკონტროლეთ თქვენს დაწესებულებაში დამონტაჟებული ხელოვნური ვენტილაციის და ჰაერგამტარი აპარატურის მუშაობა (მაგალითისათვის, დაიჭირეთ ქაღალდი ხელოვნური ვენტილაციის შემქმნელი აპარატის წინ და თუ ის სათანადოდ მუშაობს, მაშინ ქაღალდი ჰაერის ნაკადის სწორი მიმართულებით გადაინაცვლებს);
- ინსტრუქციით განსაზღვრულ დროს, საჭირო ხანგრძლივობით ჩართეთ ბაქტერიოციდული ნათურა. გამოიყენეთ ის ვენტილაციასთან ერთად, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაწესებულებაში არსებული ვენტილაცია ახორციელებს ჰაერის მხოლოდ ცირკულაციას;
- ბაქტერიოციდული ნათურის გამოყენების დროს დაიცავით უსაფრთხოების წესები (ისარგებლეთ მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციით), რათა არ მოხდეს კანის და მხედველობის ორგანოს დაზიანება;

წყარო:

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff; 2nd; TB Infection Control in your Health Facility; 2010

Снижение риска зараженияи профессионального контроля. Сборник информации и практических советов всем кто имеет отношение к ТБ, 2009